საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32

KA020176114707821

№ **04/955** **16 / ივლისი / 2021 წ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
აღსრულების ეროვნული ბიუროს,
აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს

ქალბატონო ხატია,

სააგენტომ განიხილა თქვენი 2021 წლის 14 ივლისის N1389 (2021 წელი 14 ივლისი NA20051540-023/006) წერილი, რომელიც ეხება ნავთობის საცავების (ავზების ჯამური მოცულობით 6000 m^3) დემონტაჟის საკითხს.

აღნიშნულის შესახებ გაცნობებთ, რომ ,,განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი აირის საცავებზე (ტერმინალები, ავზების ჯამური მოცულობით 1000 m3 და მეტი) მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

რაც შეეხება, შპს ,,[redacted]ის საკუთრებაში რიცხული ნავთობის საცავების დემონტაჟის საკითხს, მასზე მშენებლობის ნებართვა გაიცემა ზემოხსენებული დადგენილების 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამშენებლო დოკუმენტის პროექტისა და სათანადო საექსპერტო დასკვის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგლამენტები და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.

პატივისცემით,

[redacted]

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი